საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის დებულების (დამტკიცებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 მაისის N3 ოქმით) ცვლილებები:

1. დებულების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით ცენტრისთვის განსაზღვრული თანამდებობებია: ცენტრის უფროსი, ცენტრის უფროსის მოადგილე, ცენტრის განყოფილების უფროსი, მთავარი სპეციალისტი (1 კატეგორია), წამყვანი სპეციალისტი და უფროსი სპეციალისტი.“.

N 9687/10 03/06/2021

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი

საბჭოს სპიკერს, ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის'' წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის თანახმად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტს.

ცვლილებები განპირობებულია დებულების მოქმედ ვერსიაში, კერძოდ საგამოცდო ცენტრში ზოგიერთ თანამდებობათა დასახელებების ცვლილებით, რაც იწვევს დებულების შესაბამისი ნორმების შეცვლის საჭიროებას.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი